განმარტებითი ბარათი

ტერიტორიაზე ფიქსირდება მწვანე ნარგავები. 01.16.05.010.012 საკადასტროზე არსებული ხილკენკროვანი ხეები N4, 9, 20, 21, 23, 26, 27, 28, 36, 37, 38 მოიჭრება. N33 თუთა არსებული შენობის კედელთან არის ამოსული, ავარიული ფუღუროიანი, როგორც მცენარეთა ხარისხობრივ შეფასებაშია მითითებული, გვსურს N33 თუთის მოჭრა. N15 ზეხმელი ბზა მოიჭრება. გვსურს დანარჩენი საღი გადარგვადი მცენარეებიდან განგვისაზღვროთ რომელიმეს მოჭრის საშუალება თუ იქნება, რათა დავრგათ უფრო მაღალი ღირებულების ხე-მცენარეები. თუ არ იქნება შესაძლებელი დანარჩენი საღი გადარგვადი მცენარეები გადაირგვება ტერიტორიაზე, წარმოდგენილი საპროექტო გენგეგმის მსგავსად. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოგიდგენთ კანონმდებლობით მოთხოვნილ გამწვანების პროექტს.

არსებული გადასარგავი და ძირსაჭრელი ხე-ბუჩქნარები

ხე

ბუჩქნარი

ბალახოვანი საფარი

საპროექტო შენობის განთავსება

ძაბ

ძაბ

ავტო ჯავახიშვილის ქუჩა

ქუჩა

ქუჩა

საპროექტო ხე-ბუჩქნარების
გადარგვის საჭიროების ადგილების

საპროექტო შენობის განთავსება

409.18
409.23
409.21
409.35
409.44
409.47
409.63
409.30
409.32
409.46
409.00
408.70
408.64
408.86
408.65
408.60
408.99
408.43
408.38
408.66
408.55
408.75
408.70
408.35
408.12
408.83
408.81
408.88
408.90
408.36
408.56
408.34
408.94
407.30
407.27
407.17
407.12
407.13
406.20
1ქს
2ქს
3ქს
-ა-

დოკ. №: 2407-024

თარიღი: 28.06.2024

DEMASO WOOD 1

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62	*01.16.05.010.012*	*თორნიკე წილოსანი* *რევაზ ტყემალაძე* *შპს "მარჯინ სქუეარ"*	*708 მ²*

შეფასებული მცენარეები: ***38***

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
ტერიტორიის აღწერა	*1*
ჩატარებული სამუშაო	*1*
რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით	*1*
მცენარეთა მდგომარეობა	*2*
გადარგვის შესაძლებლობა	*2*
დასკვნა	*3*
დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი	
დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია	


შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

დოკუმენტში ასახულია ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის N62 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებულ მერქნიან მცენარეთა ხარისხობრივი შეფასების შედეგები.

იგი მომზადებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.06.2022 №11-58 დადგენილებისა და საქართველოს 01.12.2000 №594 კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დოკუმენტს დანართებად ახლავს მცენარეთა შეფასების უწყისი და ფოტოსურათები.

ტერიტორიის აღწერა

მიწის ნაკვეთს გააჩნია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულება და წარმოადგენს კერძო საკუთრებას. მისი ფართობია 708 მ^2.

თბილისის ფუნქციური ზონირების მიხედვით, ნაკვეთი მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5-ში (სზ-5).

ჩატარებული სამუშაო

2023 წლის 21 ოქტომბერს, ვიზუალური დათვალიერების გზით ჩატარდა ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების შეფასება. კერძოდ, თითოეულ შესაფასებელ მცენარეს მიენიჭა ინდივიდუალური ნომერი, აღებულ იქნა მისი სატაქსაციო მონაცემები, აღიწერა მდგომარეობა, შეფასდა გადარგვა-გახარების შესაძლებლობა, მოხდა თითოეულის დასურათება.

მცენარეთა აღწერის საბაზისო მონაცემები ასახულია მცენარეთა შეფასების უწყისში (იხ. დანართი 1). მათთვის მინიჭებული ნომრები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტთან ერთად მერიაში წარსადგენ ტოპოგეგმაზე, მცენარეთა შეფასების უწყისში და ასევე დაწერილი არის თვითონ მცენარეთა ქერქზე.

წინამდებარე დოკუმენტში, „მცენარის დიამეტრში“ იგულისხმება მიწიდან დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე გაზომილი მცენარის ღეროს დიამეტრი.

რაოდენობები და ნომრები სახეობების მიხედვით

აღწერილი 38 მერქნიანი მცენარე სახეობათა ჯგუფების მიხედვით ასე ნაწილდება:

- **11 ინდივიდი (1 ზეხმელი) – ხილკენკროვანი სახეობები**
  - 1 კომში (Cydonia oblonga) N 4
  - 3 აღმოსავლური ხურმა (Diospyros kaki) NN 20, 21, 28
  - 1 ლეღვი (Ficus carica) N 26
  - 3 ალუბალი (Prunus cerasus) NN 23, 27, 38 (ზეხმელი)
  - 2 ქლიავი (Prunus domestica) NN 36, 37
  - 1 ვაზი (Vitis vinifera) N 9
- **1 ინდივიდი – ხვიარა სახეობა**
  - 1 გლიცინია (Wisteria) N 3
- **8 ინდივიდი – ბუჩქოვანი სახეობები**
  - 1 იაპონური აუკუბა (Aucuba japonica) N 10
  - 2 ჭანჭყატი (Euonymus) NN 7, 34
  - 1 კვიდო (Ligustrum) N 25
  - 1 ოლეანდრი (Nerium oleander) N 1
  - 1 ვარდი (Rosa) N 22
  - 2 იასამანი (Syringa) NN 5, 8
- **3 ინდივიდი (1 ფაუტი) – დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 1 მინდვრის ნეკერჩხალი (Acer campestre) N 24
  - 2 თუთა (Morus) NN 33 (ფაუტი), 35
- **15 ინდივიდი (1 ზეხმელი) – მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვნები**
  - 13 ბზა - ხე (Buxus sempervirens) NN 11, 12, 13, 14, 15 (ზეხმელი), 16, 17, 18, 19, 29, 30, 31, 32
  - 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

მათ შორის, **2 ძირი წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას:**

  - 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

მცენარეთა მდგომარეობა

შეფასებული 38 მცენარიდან 35 არის ჯანსაღი, ხოლო 3 - ავარიული (1) ან ზეხმელი (2). იხ. ცხრილი 1.

სასიცოცხლო პარამეტრების მიხედვით 1 თუთა N 33 არის ფაუტი მცენარე, რადგან მთავარ ღეროზე აღენიშნება ფუღურო, რაც მის არამდგრადობაზე მიანიშნებს. ასევე, აღნიშნული მცენარე მიჩნეულ იქნა ავარიულ ინდივიდად, რადგან არსებული შენობის კედელთან არის განთავსებული და მისმა ფესვთა სისტემამ შესაძლოა ნაგებობის დაზიანება გამოიწვიოს, ხოლო ნაგებობის დემონტაჟის შემთხვევაში, შესაძლოა ვერ მოხდეს აღნიშნული მცენარის მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.

ცხრილი 1. *01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე არსებული არაჯანსაღი, ავარიული და ფუღუროიანი მცენარეები.*

№	ერთ. №	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
			10 სმ	1.3 მ		
1	15	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	5.4	3.8	2.0	ზეხმელი
2	33	თუთა (Morus)	37	29	8.5	ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან
4	38	ალუბალი (Prunus cerasus)	14.3		4.0	ზეხმელი/ ხილკენკრ.

გადარგვის შესაძლებლობა

გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ, ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, არახილკენკროვანი სახეობებიდან გადარგვას შეიძლება დაექვემდებაროს 25 შეფასებული მცენარე: 1-8, 10-14, 16-19, 22, 24-25, 29-32, 34-35.

მათგან, 24 მცენარის ღეროს დიამეტრი არის 25 სმ ან ნაკლები, ხოლო 1 მცენარე არის დიდტანიანი (ღეროს დიამეტრით 25 სმ-ზე მეტი). იხილეთ ცხრილი 2.

N35 თუთის გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ მიმდებარე შენობის დემონტაჟის შემდეგ.

ცხრილი 2. *გადარგვადი მცენარეების ნომრები და რაოდენობები სახეობების მიხედვით.*

N	სახეობა	რაოდ.	მცენარეთა ნომრები
25 სმ ან ნაკლები დიამეტრის მცენარეები (24 ძირი)			
1	გლიცინია (Wisteria)	1	3
2	იაპონური აუკუბა (Aucuba japonica)	1	10
3	ჭანჭყატი (Euonymus)	2	7, 34
4	კვიდო (Ligustrum)	1	25
5	ოლეანდრი (Nerium oleander)	1	1
6	ვარდი (Rosa)	1	22
7	იასამანი (Syringa)	2	5, 8
8	მინდვრის ნეკერჩხალი (Acer campestre)	1	24
9	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	12	11, 12, 13, 14, 16, 17, 18, 19, 29, 30, 31, 32
10	დაფნა (Laurus nobilis)	2	2, 6
დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის) მცენარეები (1 ძირი)			
1	თუთა (Morus)	1	35

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2023 წლის 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის N62 მისამართზე, ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე, 38 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 38 მერქნიანი მცენარიდან 35 არის ჯანსაღი, 3 - ავარიული (1) ან ზეხმელი (2). მათ შორის:

- 11 ხილკენკროვანი (1 ზეხმელი)
- 1 ხვიარა სახეობათა წარმომადგენელი (ჯანსაღი)
- 8 ბუჩქოვან სახეობათა წარმომადგენელი (ყველა ჯანსაღი)
- 3 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი (1 ფაუტი)
- 15 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი (ყველა ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 2 მცენარე, კერძოდ:

- 2 დაფნა (Laurus nobilis) NN 2, 6

3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 3 არაჯანსაღი (ავარიული ან ზეხმელი) მცენარე, კერძოდ:

- 1 ალუბალი (Prunus cerasus) N 38 (ზეხმელი)
- 1 თუთა (Morus) NN 33 (ავარიული)
- 1 ბზა - ხე (Buxus sempervirens) N 15 (ზეხმელი)


4. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, 25 არახილკენკროვანი მცენარე შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - NN 1-8, 10-14, 16-19, 22, 24-25, 29-32, 34, 35. **მათგან, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის არის 1 ინდივიდი:**

- 1 თუთა (Morus) N 35

გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრის კრიტერიუმები იხილეთ თავში “გადარგვის შესაძლებლობა”.

მეტი დეტალისთვის იხილეთ:

- დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი;
- დანართი 2. ფოტოდოკუმენტაცია;
- დამკვეთის მიერ თბილისის მიერიაში ამ დასკვნასთან ერთად წარდგენილი ტოპო-გეგმა.

ექსპერტი:  ლევან გოშაძე (01008013049)

№2407-024 საექსპერტო დასკვნის

დანართი 1. მერქნიან მცენარეთა შეფასების უწყისი - ნაკვ. 01.16.05.010.012

მისამართი:	თბილისი, ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62
საკადასტრო კოდი:	01.16.05.010.012
ფართობი:	708 მ^2
მესაკუთრე:	თორნიკე წილოსანი (ID № 01017037277); რევაზ ტყემალაძე (ID № 01024004230); შპს “მარჯინ სქუეარ” (ID № 404686693)
შეფასების მეთოდი:	ვიზუალური
შეფასების თარიღი:	21.10.2023
შემსრულებელი:	ლ. გოშაძე, ე. შარია


№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ოლეანდრი (Nerium oleander)	8-12		4.0	საღი/ გადარგვადი*
2	დაფნა (Laurus nobilis)	0-4		2.5	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი*
3	გლიცინია (Wisteria)	12.7			საღი/ გადარგვადი*
4	კომში (Cydonia oblonga)	4-8		3.0	საღი/ ხილკენკრ.
5	იასამანი (Syringa)	8-12		3.0	საღი/ გადარგვადი*
6	დაფნა (Laurus nobilis)	4-8		3.0	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი*
7	ჭანჭყატი (Euonymus)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი*
8	იასამანი (Syringa)	8-12		3.0	საღი/ გადარგვადი*
9	ვაზი (Vitis vinifera)	4.8			საღი/ ხილკენკრ.
10	აუკუბა (Aucuba japonica)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი*
11	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	14.3	11.1	6.5	საღი/ გადარგვადი*
12	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	8.9	6.4	5.5	საღი/ გადარგვადი*
13	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	8.6	5.7	5.5	საღი/ გადარგვადი*
14	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	7.0	5.7	5.5	საღი/ გადარგვადი*
15	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	5.4	3.8	2.0	ზეხმელი
16	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	8.3	6.1	6.0	საღი/ გადარგვადი*
17	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	7.6	5.7	7.0	საღი/ გადარგვადი*
18	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	20.4	12.7	7.5	საღი/ გადარგვადი*
19	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	5.7	4.8	3.0	საღი/ გადარგვადი*
20	ხურმა (Diospyros kaki)	33	27	8.5	საღი/ ხილკენკრ.
21	ხურმა (Diospyros kaki)	32	27	8.5	საღი/ ხილკენკრ.
22	ვარდი (Rosa)	0-4			საღი/ გადარგვადი*
23	ალუბალი (Prunus cerasus)	0-4		2.0	საღი/ ხილკენკრ.
24	ნეკერჩხალი (Acer campestre)	0-4		2.0	საღი/ გადარგვადი*
25	კვიდო (Ligustrum)	0-4		3.0	საღი/ გადარგვადი*
26	ლეღვი (Ficus carica)	35	17.5	7.0	საღი/ ორკაპი/ ხილკენკრ.
27	ალუბალი (Prunus cerasus)	10.5	8.6	7.0	საღი/ ხილკენკრ.
28	ხურმა (Diospyros kaki)	19.7	17.8	6.0	საღი/ ხილკენკრ.
29	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	8.6	6.1	5.5	საღი/ გადარგვადი*
30	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	10.2	8.0	5.5	საღი/ გადარგვადი*
31	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	5.7	4.5	5.5	საღი/ გადარგვადი*
32	ბზა - ხე (Buxus sempervirens)	12.7	8.0	6.0	საღი/ გადარგვადი*
33	თუთა (Morus)	37	29	8.5	ავარიული/ ფაუტი/ გადანაბელი/ ფუღურო/ შენობის კედელთან
34	ჭანჭყატი (Euonymus)	4-8		2.5	საღი/ გადარგვადი*
35	თუთა (Morus)	29	22.3	8.5	ჯანსაღი/ შენობის დემონტაჟის შემდგომ შესაძლებელია დაექვემდებაროს გადარგვას/ გადარგვადი*
36	ქლიავი (Prunus domestica)	8.0	5.7	3.0	საღი/ ხილკენკრ.
37	ქლიავი (Prunus domestica)	14.0	11.1	1.5	საღი/ ხილკენკრ./ კუნძი
38	ალუბალი (Prunus cerasus)	14.3		4.0	ზეხმელი/ ხილკენკრ./ კუნძი

*** გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.**


ლევან გოშაძე *ექსპერტი;* ემზარ შარია *დირექტორი, შპს დემასო ვუდ 1*



№1




№2



№3



№4



№5



№6



№7



№8



№9



№10



№11



№12



№13



№14



№15



№16




№17




№18



№19




№20




№21



№22




№23




№24




№25




№26




№27



№28



№29




№30



№31



№32




№33 (1/2)



№33 (2/2)



№34



№35 (1/5)



№35 (2/5)



№35 (3/5)



№35 (4/5)



№35 (5/5)



№36



№37



№38

დოკ. №: 2407-081

თარიღი: 08.07.2024

DEMASO WOOD 1

დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი

გადაირგვება ერთი (იმავე) მიწის ნაკვეთის ფარგლებში

ტერიტორიის მისამართი	*ს/კ*	*მესაკუთრე*	*ფართობი*
თბილისი, ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62	*01.16.05.010.012*	*თორნიკე წილოსანი* *შპს "ინოვაციური ხედვა"* *შპს "მარჯინ სქუეარ"*	*708 მ²*

გადასარგავ დიდტანიან (d > 25 სმ) მცენარეთა რაოდენობა: ***1***

დოკუმენტის შემადგენლობა

შესავალი	*1*
გადასარგავი მცენარეები	*1*
გადარგვის ინდივიდუალური პირობები	*2*
გადარგვის ზოგადი პირობები	*3*
ნიადაგის მომზადება გადასარგავად	*3*
ხე-მცენარის ამოღება	*3*
ხე–მცენარის გადარგვა	*3*
გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა	*4*


შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com

(+995) 593 18 18 70



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩის N62 მისამართზე რეგისტრირებულ, ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე მშენებლობის პროექტის ფარგლებში 1 ძირი დიდტანიანი (25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე) ხე-მცენარის გადარგვისა და შემდგომი მოვლა-პატრონობის სამუშაოების ჩატარების მეთოდური მითითებები და დასაცავი პირობები.

აღნიშნული 1 ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია „დემასო ვუდ 1-ის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 28.06.2024 №2407-024 საექსპერტო დასკვნით.

წინამდებარე გადარგვის პროექტის მოთხოვნათა ზედმიწევნით დაცვა უზრუნველყოფს გადარგული მცენარის გახარებას.

მცენარე გადაირგვება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, სადაც ის ამჟამად მდებარეობს (ს/კ 01.16.05.010.012).

გადარგვის სამუშაოები ჩატარდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში.

გადასარგავი მცენარეები

ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთის ფარგლებში, მშენებლობის პროექტით იგეგმება, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე 1 ხე-მცენარის - თუთის (Morus) გადარგვა. მისი ზოგადი მახასიათებლები გადასარგავი კომის ზომების ჩათვლით მოცემულია ცხრილ 1-ში.

აღნიშნულ ხეს „დემასო ვუდ 1-ის“ (ექსპერტი – ლევან გოშაძე) 28.06.2024 № 2407-024 საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნომერი: თუთა N 35.

ცხრილი 1. გადასარგავი ხეების ნუსხა, მათი ტაქსაციური მაჩვენებლები და კომის ზომები.

რიგ. №	ხის №	სახეობა	კომის სიგანე (სმ)	ღეროს ⌀ (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)
				10 სმ	1.3 მ	
1	35	თუთა (Morus)	203	29	22.3	8.5

გადარგვის ინდივიდუალური პირობები

თუთა (Morus) №35

ღეროს დიამეტრი მიწიდან 10-სმ-ზე: 29 სმ

ღეროს დიამეტრი მიწიდან 1.3 მ-ზე: 22.3 სმ

სიმაღლე: 12.5 მ


ხნოვანება: შუახნოვანი

კომის დიამეტრი: 203 სმ

არსებული მდებარეობა. მცენარე განთავსებულია სწორ და რბილ ნიადაგზე. მასთან ტექნიკით მიახლოება ადვილად იქნება შესაძლებელი მის გვერდით არსებული შენობის დემონტაჟის შემდგომ. კუნტრუქციის დემონტაჟი უნდა მოხდეს მცენარის დაუზიანებლად.

დარგვის ადგილი. სწორი რელიეფი. საჭიროებს დასარგავად მომზადებას გადარგვის ზოგადი პირობების მიხედვით.

გადარგვის ინდივიდუალური პირობები. მცენარე საჭიროებს გადარგვის წინ სხვლა-ფორმირებას მისი ვარჯის ფორმიდან გამომდინარე.



გადარგვის ზოგადი პირობები

ნიადაგის მომზადება გადასარგავად

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე ასევე უნდა მოხდეს დასარგავი ადგილის განთავისუფლება სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად, მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით.

ხე-მცენარის ამოღება

1. გადასარგავი ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს: დიამეტრი - ფესვის ყელთან არსებული ღეროს დიამეტრის არანაკლებ შვიდმაგი ოდენობით (ცხრილი 1), სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-მდე.
2. კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე, რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა.
3. ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება.
4. ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.).
5. მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან. შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან.
6. საჭიროების შემთხვევაში, ხე-მცენარეებზე ხორცილედება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

ხე–მცენარის გადარგვა

1. გადარგვის დანიშნულების წერტილი უნდა იყოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.
2. გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს გადასარგავი ორმო:
   - რომელსაც გადასარგავი კომის ზომებთან შედარებით სასურველია ჰქონდეს 0.5-0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე;
   - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
   - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;

- თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი).

3. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით.
4. ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით ისე, რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს.
5. ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან.
6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
7. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით.
8. ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
9. ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები.
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში.
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება.
4. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ.
5. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით.
6. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან.
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად.
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა.
9. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (პ/ნ 01008013049)

შპს დემასო ვუდ 1

ს/კ 400331716

№ 2407-091 08.07.2024

ბატონ რევაზ ტყემალაძეს

ბატონო რევეზ,

გაცნობებთ, რომ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარმოდგენის შემდგომ, შპს „დემასო ვუდ 1“ მზადაა ს/კ 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე (მის: ქ. თბილისი ქუჩა ივ. ჯავახიშვილი, N62) განახორციელოს 1 დიდტანიანი ხე-მცენარის (დიამეტრები – 29 სმ) გადარგვა თანდართული გადარგვის პროექტის (დოკუმენტი № 2407-081) შესაბამისად.

აღნიშნულ მცენარის გადარგვის შემთხვევაში, თუ მასზე მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას არ ექნება ადგილი და თუ მისი მოვლა-პატრონობა მოხდება ზემოთ აღნიშნული გადარგვის პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი გახარების ალბათობა იქნება მაღალი.

აღნიშნულ მცენარის გადასარგავად გამოყენებული იქნება შემდეგი ტიპის აუცილებელი ტექნიკა: ტრაქტორი JCB 3CX, კომპაქტური ტრაქტორი JCB 1CX. ასევე, არბორისტთა ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით სამუშაოებისთვის საჭირო ხელსაწყოებით.

დანართი:
1. სპეც-ტექნიკის ფოტოები
2. დიდტანიან მცენარეთა გადარგვის პროექტი (№2407-081)

პატივისცემით,

ემზარ შარია

დირექტორი

ლევან გოშაძე

ექსპერტი

№ 2407-091 წერილის დანართი

გადარგვისას გამოსაყენებელი სპეც-ტექნიკა



JCB 1CX



JCB 3CX